

შეშავი მარცხი

იხარკის ტაღი
ქუჩა № 6
6 თებერვალი, 1911 წ. შანი 10 კპპ.

უოგელ კვირული გამოცემა

1178



კერპთოჯანის მცემლობა ქუთაისში.

ჩვენს მკითხველებს მოხსენდება,
ძველათ რო კერპს სცემდენ თაყვანს:
კის მნათობებს (მზეს და მთვარეს)
კეცხლს მიწათგან ამონაყვანს,

ქუთაისის გამგეობა
დაუბრუნდა იმ დროს, ნაცნობს
და თოვლის ღმერთს მსხვერპლათ სწირავს
მისს ერთფერო შეშის ნაპობს.

გარდახვეწილი.

(არაკისებური.)

ერთმა ვიღაც ცოდვილის შვილმა,
გადალახა მცნება უფლის
და მოსტაცა მის მეზობელს
შვილი, ათი-თორმეტი წლის.

მოსტაცა და თათარს მისცა,
აიღო მან ფასი იმ ყმის.

(კაცს რომ ყიდდენ სათათრეთში,
ამის მომსწრე მეც ვარ თითქმის.)

დაიკარგა ბავში პირშო,
იგი დედის გულის ვარდი,
სიციცხლე და ფვლის ჩინი,
სიმწრით ნაშობ-განაზარდი.

ბედშავ მშობლებს მეტის ჯავრით
გულს მოედოთ ცეცხლი მწველად
და დღე და ღამ, სხვა რა ექნათ,
რბოდენ მოთქმით ტყეთ და ველად.

სძებნეს, სანამ შავდღიანებს
შერჩათ მცირე-რამ ძალ-ლონე,
მარა იმ ყმის ვერ ვინ ნახეს
ამბის მთქმელი და გამგონე.

დანაბოლოს ორივე ერთად
ამ ნაღველმა გადიტანა,
დაუტოვეს მათ უდროოდ,
ცოდვით სავსე ეს ქვეყანა.

დრო წავიდა, სხვა მოვიდა,
დაიმშვიდა ყველამ გული,
დაივიწყეს ის მშობლები
და ის ბავშიც დაკარგული.

მარა, დახე დრო და ჟამის
ბრუნვას და მის ავან-ჩაივანს,—
ხან ის დაბალს აამალღებს,
ხან კი დასცემს ამპარტავანს

და ამ რიგათ ყრმას გაყიდულს
შეუბრუნდა მწარე ბედი,—
მოეზღვავა კარს სიკეთე
უთვალავი, ზედი-ზედი.

დრომ უყო, თუ ვაჟკაცობამ,
მისცეს ხმალი და ფაშობა.

(ეგ ხელობა სათათრეთში
არ გევნოთ თამაშობა.)

და ადრე, თუ მას სწამლავდა

მონობის, დღე მწარე, ბნელი,
ახლა გახდა ერთი კუთხის
პატრონ-გამგე მბრძანებელი.

ზნე მდაბალმა ვამყიდავმა
რომ გაიგო ეს ამბავი,
ნამეტანი სიხარულით
ველარ შეიკავა თავი.

ადგა, ნამუს გატეხილი,
გაემგზავრა სტამბოლს ხელად
და ფაშის წინ წასდგა ურცხვი,
საჩუქარის სათხოვნელად.

კითხა ფაშამ: „სით მოსულხართ
რა ქვეყნიდან, ან ვინ ხარო,
რა გაქვს ჩემთან სათხოვარი
მითხარ, რითი დაგეხმარო?“

მოახსენა: „იქიდან ვარ,
სად ბაღნარი ხშირად არი,—
გურჯისტანით გაახელი,
იქაური ბინადარი.

და მოვსულვარ“... მარა ფაშამ
უთხრა:—„კმარა აწ კი სხვაო,
ვმადლობ გამჩენს, რომ მადირსა
მე ქართველის დანახვო!

უცხო მხარეს უთვისტომოთ
გარდახვეწილს, დაკარგულსო,
მარტოდენ მოძმის ნახვა
დამიამებს დამწვარ გულსო.

ქირ-ვარამის გამონარებს,
ბევრის მომსწრეს და მოწმესო,
ძომეხვიე შენს სისხლს და ხორცს,
შორსმყოფს,ობოლს, შენს მოძმესო“

უთხრა ეს და ახალ მოსულს
მოეხვია, ცრემლი ღვარა—
ამოუჯდა,საწყალს გული,
სიტყვა ველარ მოავგარა.

დაიმშვიდა ბოლოს ფაშამ,
ნამტირალმა, გული გვიან,
(„ქირში ოხვრა შევბააო“
მართალია რომ იტყვიან.)

და იმ მოსულს მიუბრუნდა,
უთხრა—„ვმადლობ ჩემო ძმაო,
აბა ახლა მომიყვიე,
რის გინდოდა წელან თქმაო.

— დიდო ფაშავ, მოახსენა,
მომესურვა შენი ნახვა,
მიტომ შევეძელ გურჯისტანით
გრძელი შარის გადმოლახვა,



და გეახელ, რომ ამ ჟამად
შემიბრალო, მიგლო ყური,
მიზეხს შენის ღიღებისას
მენატრება ლუკმა პური.

— როგორ?... შენ ჩემს ფაშობაში
წილი გიძევს რამე განა?

— დიახ, ფაშავ... და „ჰო“ს ნიშნად
თავი დაღმა დააქანა.

გაუკვირდა ფაშას, უთხრა:

— „ვერ გავიგე სიტყვა შენი,
და თუ ძმა ხარ, რაც მითხარი
იგი კარგათ ამიხსენი“

კვლავ შეჰკადრა: „მომისმინე
შენს ერთგულს“ შენს მოკეთესო,
ფაშა რომ ხარ ღიღებული,
ჩემის ხელით არის ესო.“

კიდევ უთხრა ფაშამ: „რავქნა,
შენი თქმა ვერ გამიგია,
ერთი გამითვალისწინე
ეს პასუხი რა რიგია?“

— „შენს წინაშე ვდგევარ, ფაშავ,
მეგობარი შენი ძველი,
მოიგონე სიყმაწვილე,
მე ვარ შენი გამყიდველი.“

შეკრთა ფაშა,.. ჭრუანტელმა
დაუარა, ვითა ელვა,
მოტზლავა გულს ნალველი,
ყელში სისხლი მოედღღა.

წარმოუდგა მას წარსული,
„სიყრმის დღენი“ რასაც ქვია
და თვალთავან, თითქოს, ცეცხლის
ნაპერწკლები დააფრქვია.

მოექაფა პირზედ დორბლი
ბრაზით ენა დაეკლიტა
და მზათ იყო, გამყიდავი
იქვე შეაზე გაელლიტა.

მარა უცებ, თითქო ზეცის
იდუმალი შთაგონებით,
დაიმშვიდა მღელღავრება, —
სძლია გრძნობას მან გონებით

და მუხნათ მის გამყიდავს
ხმის კანკალით მიუბრუნდა:
(მტერზე შური არ იძიოს
გონიერი კაცი უნდა!)

უთხრა: „კაცო სულმდბალო,
მოლაღატევე, ბრიყვო შენა,
რა სინდისით მოახერხე

ჩემთან მოსვლა, გამოჩენა?

როს ქურდულათ მონათაუცებს
მყიდდი, ჩუხათ მახერხედი,
ჩემს ფაშობას მაგ ბილწ გულში
განა ფიქრათ ატარებდი?

სიყრმეშივე დამიკარგე,
მე მშობლების ტყბილი მზერა,
და „შენ ბელზე ვზრუნავდიო“
ახლა რომ სთქვა ავი მჯერა?

მშობლის ხვევნა და აღერსი,
მის გულ მკერდზე მიზიდება,
შვილისათვის უფასოა,
არაფრით არ იყიდება,

და იგი რომ დამიკარგე
შე საფურთხო და საზიზლო,
მითხარ, ჩემი დანაკლისი
რით გსურს ახლა რომ ამიზლო?

მოვიგონებ ჟამს სიყრმისას
მშობლის გვერდით პარპაშობას.....

იმ დროს ყიდვა რომ ძაღმედოს,
ფასად მიეცემ ჩემ ფაშობას,

ჩემს ღიღებას, ჩემს სიკეთეს,
ჩემ სიკოცხლეს მდიდრულ ხანას,
მირჩენია ფეხშიშველი,

რომ დავრბოდე ჩემ ქვეყანას,
ჟამს მიმოკლებს უბოლოო
ტანჯვა, ოხვრა დღე და ღამის,
რომ უდროოდ მოეწყვიდო მშობლებს....

მიზეზი ხომ შენ ხარ ამის?
და ახლა, რომ საჩუქრისთვის
მოდექი და მითხარ ქება,
მაგით გსურს რომ გაინაღლო
შენ სიკეთით ბოროტება?

მარა გამცემს იმდენ ნამუსს
ვინ მოგცემდა, უთხრას ვი ო,
რომ სასირცხო ნამოქმედი
შენვე მიხვდე, შეირცხვინო?

ბევრი რომ არ გავაგრძელო
სიკვდილის ხარ ჩემგან ღირსი,
აი, შენი საჩუქარი
შენი შრომის საკადრისი.

მარა სიკვდილს არ გაღირსებ,
ის ღიღია შენთვის ჯილდო...
მე მსურს ხვედრი სატანჯველი
ერთი ორად გავიდილო.

ამისათვის ცოცხალს გიშვებ,
გამეცალე, გამერიდე,



შენთვის მეტი სასჯელია,—
ვგ ცოდვილი სული ზიდე!!

ეგებ, ოდეს გონს მოხვიდე,
შეიცვალოს შენი ბედი,
და შენით სცნო, აბელის ძმავ,
სრულად შენი ნამოქმედი.

მხოლოდ მაშინ შეგეძლება,
იგრძნო იგი, თუ რაც სცოდე, ...
მეც ეს მინდა, ცოცხალ იყო,
ხვიდოდე და იტანჯოდე.

და ვინ იცის, რამე დროში,
ეგებ ბრიყვი გამოსწორდე.
თორემ იმით რა გამოვა,
უთავოდ რომ აქ გაგორდე?*

ეს უთხრა და გამოავლო,
უთხრა შეგრჩეს ნასიავი!

ცოდვა მადლით გაისაღოს
ამას ცდილობს კაცი ავი.

ა. ბლიკვაძე



დეპეშები.*)

(მანსელაძის დეპ. სააგენტოსგან).

კიათურა. „Все обстоит благополучно“. არ ვიცით მხოლოდ, სად იმყოფება პურის მცხოვრები ბ. ვალიკო ხურცია, რომელიც ამ დღეებში, ლამის პირველ საათზე, კოაპერატიულ საზოგადოების ფურნიდან, ჰაერობლანით იმერეთისკენ გაფრინდა. ბ. ხურციას თან ახლავს მგზავრათ ათი ქანქარი. მესამე დღეს, დილის 7 საათზე, ამავე ფურნიდან, ჰაერობლანითვე, იმერეთისკენ გაფრინდა ბ. ხურციას თანაშემწე, „ავიატორი“, არტემა. უკანასკნელს მიზნათ ჰქონდა წინა დღით გაფრენილთა „მოძებნა“ მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მას შე-

*) უმავთულობის გამო დავვიანდა.

მდეგ აგერ ორი კვირა გადის—დღემდისაც არ დაბრუნებულან და არც არავინ იცის მათი ასავალ-დასავალი.

ხალხის აზრით, გაფრენილნი „ავიატორნი“ კატასტოფის მსხვერპლი შეიქნენ.

იქიდანვე. ამას წინათ, „ჯარბელას“ ახლოს, ლამით, რკინის გზაზე ორმა სტრამემა *) ეჭვით დააპატიმრა ორი მუშა და ერთი ვერცხლის ათ შაურიანი. ამის შესახებ, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, სტრამეებს მაშინვე გაუნთავისუფლებიათ პირველი ორი პატიმარი, ხოლო უკანასკნელი კი, დღემდისაც დაპატიმრებულია...

შუქურთი. ამასწინეთ, ჩამოსაშვების („საუსკის“) მუშებსა და „ტორმუზჩიკ“, —ი, ლაბაძის შორის განხეთქილება ჩამოვარდა, რის გამოსარკვევთაც ორივე?) მხარე საჭიროთ სცნობდა სამედიატორო სასამართლოს მოწვევას. მიუხედავად ამ „საჭიროებისა“, ბ. ლაბაძე მაინც შეუდგა საქმის „დატორმუზებას“, რომელმაც, როგორც ვიცით, რამდენიმე ცდის შემდეგ შესანიშნავის ხელოვნებით შესძლო კიდევ, „დაეტორმუზებია“ საქმის მსვლელობა... ამის გამო, ზემოდ ხსენებულმა მუშებმა შუამდგომლობა აღძრეს ეშმაკთა საბჭოში, რათა დაჯილდოვებულ იქნეს ბ. ლაბაძე ოცდაათი მათრახის კუდით.

სახჩერე. ამ დღეებში, ბოქაული აბაგაროვის განკარგულებით, მავნე მიმართულებისათვის, სამშობლოდან გაძევებულ იქნა 50-დე ღორი. გაძევებულთ უფლება აქვთ სამხედრო ბოქაულის მოხსნამდე იცხოვრონ სხვა და სხვა გუბერნიებში გარდა საჩხერისა.

კიათურა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს, მიეცეს 5000 მან. პრემიით იმას, ვინც ისეთს „პრეპარატს“ გამოიგონებს, რომ დრამატიულ საზოგადოების სარებერტუარო კომისიას და აგრეთვე სცენის მოყვარეებსაც შეაყვაროს ცენაზე თანამედროვე პიესების დადგმა...

საველი.

ბორჯომი. აქაური ფოსტა-ტელეგრაფის ზოგერთმა „ჩინონიკებმა“ ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტეს: დღეიდან აღარ იკითხონ რედაქციებში გაგზავნილი წერილები და ბუფეტ-პადვლებში აღარ იძახონ წერილების ავტორების ვინაობა.

იქიდანვე გვეწვია „ახალმოდის“, ყელ ყვირთ-ლა, შავგულა და თეთრ ზურგა ზამთრის „მერცხა-

*) ერთი ოსი იყო, ერთიც ქართველი.

ლი“. საუცხოვო მისი ქიკიკი ადამიანის ყურადღებ-
 ბას იტაცებს „პარიველი ბიკის“ ცელქიანობა, უკა-
 ტრავად, (ბოდის ვინდი მკითხველების წინაშე)
 პარიველ ლიტერატორ—მემუზიკე ჩანგის სიმების
 ეღერა ახალ მერცხაღს ძრიელ მოსწონებია და ამი-
 ტომ ძლიერ ემადურებ აყველას, იქიკიკოს საუცხოვო
 ჩანგის ჰანგზე.

კავკავი. უტყუარ წყაროებიდან შევიტყვე,
 რომ აქაურ ქართულ დრამატიულ წრეს ნიკრისის
 ხარები გასჩენია და მკურნალთა ენიაგენია ხიმშიაშვი-
 ლისა მოუწვევიათ, თუ რამ უშველა.

იქიდანვე. მრეცხავთაგანი „ლორემელი კაცი“
 გვთხოვს გამოვაცხადოთ საქვეყნო შემდეგი: „ვკი-
 სრულობ სრულიად უფასოთ რეცენზენტობას; ვიძ-
 ლევი ქეშმარიტ პირობას ყოველი მოთამაშე საუ-
 ცხოვო ხარისხის მიმიკითას და დიქციით დავაჯილდოვო
 და მოსკოვის დრამატიულ კურსებზე გავვზავო
 ჩემი..... რეცენზიით.“
შიკ—რიკი.

ქიათურა. მოხდა მცხოვრებთა საგანგებო კრე-
 ბა, რომელზედაც დაადგინეს: რადგან ექიმ ჯაფა-
 რიძის მოშინაურება ყოვლად შეუძლებელი აღმოჩ-
 ნდა, ეთხოვოს მრეწველთა სიეზდის საბჭოს, რომ
 დაიქირაოს თორმეტი დუეინი ქალები, რომელთაც
 თვალ-ყური ადევნონ პატივცემულ ექიმს და გვაც-
 ნობონ ხოლმე, თუ როდის რომელ გუბერნიაში იმ-
 ყოფება, რათა შეძლება გვექნეს ავადმყოფები იქ
 წავიყვანოთ საექიმოთ. საბჭოს ქალებმა მსწრაფდ
 გადასცეს ეს დადგენილება ექიმს ქალაქ გასართო-
 ბის ერთ-ერთ ხასტუმროში. ჯაფარიძემ მოისმინა და
 სთქვა: „უკეთესი იქნებოდა სულაც არ გამხდარი

ყვენ ქიათურელები ავით, როცა მე იქა არა ვარაო“
 ქიათურელებმა ეს აზრი დიდათ მოიწონეს, მაგრამ
 იაშვილის აფთიაქმა პროტესტი განაცხადა: „ექიმი
 ჯაფარიძე აქ სამ წელში ერთხელ თუ გამოიარს,
 ისიც საჩხერის სალონებისაკენ მიმავალი და უმისოთ
 რომ ავად აღარავინ გახდეს ვილას მივყიდო წამლე-
 ბიო“.

ყვირილა. ამ მოკლე დროში მოხდებოდა მცხოვ-
 რებთა საგანგებო კრება, რომელზედაც უნდა გამო-
 ინახოს საშუალება ქიათურელთა თავხედობის ასა-
 ლაგმავათ: საზოგადოებას აღელვებს მათი საქციელი
 რაც გამოიხატება იმაში, რომ ქიათურელები ჩვენ
 ექიმს საყვარელიძეს არ გვანებებენ. ახირებულია
 თქვენმა მზემ: თითონ თავის ექიმს გასაოთობად
 სხვა და სხვა ქალაქებში ისტუმრებენ, შემდეგ გახ-
 დებიან ავით და მიათრევენ ჩვენს ექიმს! იმუქრები-
 ან ყვირილობები: „გვაცალოთ! მოგვითმინეთ! ერთი
 კრება შესდგესო“.

ქიათურა. ყოფილი მასწავლებელი გოჯეჯიანი
 პროტესტს აცხადებს იმ ცრუ ხმების გამო, თითქო
 ის არა ადამიანურ ექსპლოატაციას უწევდეს მოსამ-
 სახურე გოგოს. მართალიაო, ამბობს, მე მას ოჯახის
 სამსახურს, წყლის ზიდვას და მრეცხაობის გარდა
 ქეხას და კირსაც ვაზიდვინებ ხოლმე, ოსტატებთან,
 მეოთხე სართულოზე და ყველა ჩემს სახლებს მას ვა-
 თოლინებ, მაგრამ ეს უადამიანობით კი არა, გულ-
 კეთილობით მომდის: მინდა შევაჩვიო აუტანელ
 ცხოვრებასთან ბრძოლას და როდესაც მე მას ქუ-
 ჩაში გავადებ, როგორც ურვარგის, მისთვის საშიში
 აღარაფერი იქნებაო.



„ეშმაკის მახის“ რედაქციისაგან.

მოკვანებთ იმ ხკლის მომწერით, რომელთაც გადახდილი აქეთ ხყუ-
 თი ნომრის ფასი 50 ვაზ. რთმ მეექვსე ნომრის შემდეგ ვაზეთი მოე-
 სპობათ, თუ ხკედრ ფულოს დროზე არ შემოიტენ.

სამარე.

ფიქრებს გავყვი, შავ ფიქრებს,
მომწყინდა ყოფნა სოფლათა;
სამარე ვნახე მდუმარე
გამომზირალი ობლათა.

კვითხე:—ვისი ხარ საფლაო,
ხიცოცხლის გამონაწირი?
ან ეს ყვაილი რათ კენესის
კრემლებით ჩამონატირი?

მან მიბასუხა:—სატრფო ვარ
დევნილი სიყვარულისო,
ყვაილი ქვეყნის გულია,
კრემლი კი დაჩაგრულისო.

გ. ქუჩიშვილი.



პაულოე ზინგერი.

ამ წლის 18 იანვარს, გერმანიის სატახტო ქ.
ბერლინში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მო-
ღვაწე პ. ზინგერი.

ვანკ ოღნაკ მანაკ თკალს ადევნებს უცხო
ქვეყნების მუშათა მოქრობას, მას შეუძლებელი

არ გავგონოს ვე სახელი. ზინგერი ერთი თვალსაჩი-
ნო წვერი იყო გერმანიის ს. დ. პარტიისა.

პ. ზინგერი დაიბადა 16 იანვარს 1844 წელს
და ამ გვართ ის უკვე 67 წლის მოხუცი იყო; მა-
გრამ ჯერაც დაულალავი ენერგიითა და ძალ-ღონით
აღსავსე.


პატარაობიდან ზინგერი ვაჭრობაში ჩაება და
25 წლისა უკვე „საკუთარ“ ფაბრიკას განაგებდა.
1888 წლებში გერმანიაში ძლიერ სდევნიდნ სოცი-
ალისტებს და ზინგერიც იძულებული იყო გასცლო-
და სამშობლოს.

პირველი აშკარა, სახალხო გამოსვლა ზინგე-
რისა, როგორც სოც. დემოკრატისა, იწყება 1884
წლიდან. ამ გამოსვლამ ისეთი სახელი მიუხვეჭა
ახალგაზრდა ზინგერს, რომ იმავე წელს (1884) არ-
ჩეულ იქნა რეისტაგის დეპუტატად ქ. ბერლინის
მეოთხე საარჩევნო უბნიდან, სადაც მიიღო 25 385
ხმა. იმ დროიდან, ვიდრე დღევანდლამდე, ზინგერი
მუდმივი წარმომადგენელი იყო ბერლინის ამ უბნი-
სა და იმდენად გაიზარდა მისი სახელის პატივის-
ცემა ამრჩეველთა შორის, რომ უკანასკნელ არჩე-
ვებზე, 1907 წელს, მიიღო 82. 039 ხმა.

1890 წლიდან პ. ზინგერი იყო მუდმივი თავ-
მჯდომარე გერმანიის სოც. დემოკრატიული პარტიის
ცენტრალური კომიტეტისა და წვერი საერთა-შო-
რისო სოციალისტური ბიუროსი.

როგორც გაზეთები იუწყებიან ზინგერის დაკ-
რძალვას აუარებელი ხალხი დასწრებია. მარტო ს.
დ. პარტიის წევრები აღემატებოდნ რიცხვით
200000 კაცს, ხოლო გარეშე მაყურებლებთან ერ-
თად, დამსწრეთა რიცხვი მილიონს აღემატებოდა.
„ასეთი დასაფლავება მხოლოდ გვირგვინოსანთ თუ
ხედება ხოლმე წილათო“ ამბობენ გაზეთები. განსვენ-
ებულის კუბოს 3000 გვირგვინი ამკობდა.

—ა.



სატრფოს

რაგინდ მომწონდეს ცეცხლი ციური
 შენსა თვალებში მარად გზნებული,
 ნარნარი რხევით ხედვა მოხიბლო,
 ნაზი ხმითა მყო დატყვევებული,
 რაგინდ სიყვარულს მეფიცებოდე,
 მშვენების სახეთ დამიდგე წინა,
 და შიშვეტი ხმით მიგალობო:
 „ჩემს გულში შენთვის მზათ არის ბინა“
 მაინც, იცოდა, სატრფოთ გულისა
 ცხარეების გზაზე არ გაგიძლოდებ,
 სანამ არ გითქვამს: „უსწორო ომში
 შენ გამოგყვები, შენთან ვიბრძობ...“

რ. ლეჩხუმელი.



ღია წერილი

ბათუმელ კვინწარს.
(დასასრული)

იმ საღამოს შემდეგ, როცა ანტონი და პელო ისეთ „მეცნიერულ“ საუბარს „მისდევდნ“, ორი სხვა საღამო გავიდა. ეს ორი საღამო ბ-ნი ილ. ფერაძეს უქმათ არ გაუტარებია, მან ორი თავი გამოაბა თავის „სამაგალითო ექიმ“¹⁾.

მესამე საღამოს „მეცნიერებამ ისე შორს წასვა ნაბიჯი წინ“, რომ თვით ანტონიც გახდა ავით სახადით, რომელსაც ძლიერ მისდევდნ ამ ქალაქში. იმავ საღამოს 130 სიცხე მისცა, ამდენივე მაჯის ცემა და ბოლდვაც²⁾ დააწყებინა. ხალხი თურმე სა-

1) ქუთაისში კი მთელ ქალაქს ერთი თავი ვერ გამოაბეს კეშაკი.

2) დაწმენებული ვარ იფიქრებთ: „თუ ბოლდვა სახადის (ანუ ტიფის) უტყუარი ნიშანია, მაშ. ბ-ნი ილ. ფერაძე უთუოდ ტიფით უნდა იყოს ავითო, მაგრამ გავკანდიერდები და მოგახსენებთ, რომ ეს მუღამ იგრე არ არის. ხშირათ მოხდება, რომ ადამიანი უსახადოთაც ბოლდვს, მით უმეტეს, თუ მწერლობის ეინიანობა სტრის.“

კეშაკი.

გონებელში ჩავარდა. პელო ხომ სულ ძალიან შესწუხდა: საკმლის მადა დაეკარგა, ძილი გაუკრთა, ფერი წაუხდა, ფიქრთა მორევში დასცურავდა. იგი ხშირათ, ძლიერ ხშირათ ევედრებოდა ღმერთს, რომ მას ეჩვენებია მისთვის გზა:

— ღმერთო, ოხ ბ-ნო ღმერთო მაჩვენე ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზა, მაჩვენე“.

ერთხელ, ამგვარი ხვეწნის დროს, პელოს ჩაეძინა და ათასი სიზმარი ნახა: ზოგი კარგი და ზოგიც საზარელი. მან მწარეთ ამოიოხრა, მაგრამ მოისმა ხმა უფლისა:

«პელო გავითვალისწინე შენის გულის წახილი... შევიბრაღე³⁾ შენი მკირე წლოვანი ბაღდები... შევიბრაღე ის მრავალი სნეული⁴⁾, რომელთაც ანტონი თავისი მადლიანი ცოდნ თა და მხუწვალე, მოსიყვარულე გულით შეველოდა, და აღვადგენ მას, როგორც სამაგალითო ექიმს, სნეულებს სარეცელიდან და მივანიჭებ მას კურნებასა⁵⁾ რათა კვლავ შეუმსუბუქოს მძიმე ტკრპი სენით დაძღურებულს ადამიანებს ნუ სტირი პელო! შენმა ცრემლმა ჩემამდის მოღწია. მე ვარ აუკუმაის მკეკლა შენი!»

ეს ამოდენა ინტერვიუ მეუფესთან ქ-ნი პელოსი, თქვენ, ბ-ნო კვინწარო, ან გამოგრჩენიათ, ან ყურადღების ღირსად არ მიგინევიათ. ორივე შემთხვევაში საყვედურის ღირსი ხართ.

პელო მხიარული ადგა და ადვილათაც მიხვდა, რომ ეს ლაპარაკი მხოლოდ სიზმარი იყო.

„ღიდმა ხალხმა დაიწყო სიარული იმ ქუჩაში, სადაც ანტონი იწვა“ (მიკვირს რატომ ერთხელ თქვენც არ გაიარეთ ბ-ნო კვინწარო?) „ვინ არ მოდიოდა: განათლებული და გაუნათლებელი, ასე გასინჯეთ, თვით მაჰმადიანების ქალებიც“. როგორც ამბობს, თვით ილ. ფერაძეც ხშირათ დადიოდა იმ ქუჩაში, რადგან „ძლიერ თანაუგრძობდა ექიმის ავითმყოფობას“. დადიოდა ილ. ფერაძე და აგროვებდა თავისი „თხზულებისათვის“ ხალხის ნალაპარაკებს.

— მიხაკო! ეუბნებოდა ერთი მეეტლე მეორეს, — ჩემს ერთადერთ შვილს განვსწირავ, ოღონდ კი ანტონს ეშველებოდეს.

3) ისევ ღმერთი, თორემ ილ. ფერაძე არავის არ ეიბრაღებს, გინდ მკირე წლოვანი იყოს მკითხველი, გინდ ღმრამ მოხუცი.

კეშაკი.

4) ამ უკანასკნელთა რიცხვში ალბათ „სამაგალითო ექიმის“ ავტორიც შედის.

კეშაკი.

5) რაკი მინიჭებაზე წავიდა საქმე, ღრიგო არ იქნება, ბ-ნო კვინწარო, ჩვენის სახელით მინიჭეთ პატივცემულ ავტორს თუნდ.ც ერთადერთი კული მათრახისა.

კეშაკი.

— მაგისტანა პატროსანი ადამიანისთვის რა დასანანია.

მეორე ჯგუფში ერთი „ურია“ ლაპარაკობდა:

— სჯულის მადლზე ერთხელ ავთ გავხდი...ე და სხ.

„ცოტა მოშორებით ქალთა ჯგუფი იდგა“ — მოგვითხრობს ილ. ფერაძე, — „ახლა ამ ჯგუფს მი- ვუახლოვდი და შორი-ახლოს გავჩერდი, ისე მოვა- ჩვენე თავი, თითქოს მათ მუსაიფს ყურს არ ვუგ- დებდი“⁶⁾.

რალა ბევრი გავაგრძელოთ, თანახმად იმ სიზ- მარში დადებული აღთქმისა, ანტონი მორჩა და ცხადია, ბ-ნ ილ. ფერაძესთან ერთად ქ. ბათუმში

მოღვაწეობს.

და თუ მართლა არის ასეთი ვინმე არა საიმე- ლო ექიმი, რომელიც თავის მოვალეობას პირნათ- ლათ ასრულებს, გთხოვთ სასტიკი მხედველობის ქვეშ იყოლიოთ.

ხოლო უმაგალითო ავტორს სამაგალითო ექიმისას“ გადასცეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა ასეთი საჯოჯოხეთო მოღვაწეობისათვის.

ისტორიკოსი.


⁶⁾ ყველაფერს ცოდნა-გამოცდილება და მოხერხება უნდა. კშსაკი.

წითელი ოთახი

ახირებული საქმეა
ადამიანთა თვისება:
ყველაზე უფრო ამ ვეყენად
სიცრუე ეხალისება.
ზოგჯერ ბუზს გაზრდის აქლემად,
იმზომ განბერაეს მცირესა...
ზოგჯერ, დააწვენს და აქლემს
ბუზანკალს აშობინებსა.
მაგრამ ბუზს ბუზი დაარქვას,
აქლემს აქლემის სახელი,
რაქენა, ძვირათ ვარ, ღმერთმანი,
კაცთა ამგვართა მნახველი.



უქმად ვიღოდა ქაბუკი
ვინმე, ქუჩისა მტკეპნელი,
საქორიკანო ამბავთა
თავდადებული მძებნელი.
უქვრიტა ვიწრო ოთახსა
და მუნ რალაცა იხილა...
შეიკუნტრუშა ხალისით,
ყიყინა დასცა, იკივლა.



მოვიდა მგზავრი, გამვლელი, შესდგა...ამბივი იკითხა...
და აქ, მტკეპნელმა ქუჩისამ, გამოიჩინა ღიღი ფხა.
უთხრა: იმ „წითელ ოთახში“ საზარი ვნახე სცენაო...
ვერ იტყვის იმის სიბილწეს ჩემი ცოდვილი ენაო.
თორმეტი წყვილი ქალ-ვაყი...თორმეტი ახალგაზრდაო...
ვერ ვიტყვი რაებს იქმოდენ, რისა აღძვროდათ მადლო...



ხალხი კვლავ მოდგა უსაქმო. „ოთახი“ იგი იზრდება,
წვივდა ქორი ქალაქად და წვრილმანებით მდიდრდება.



შეხედავ, ველარ ცნობილობ
 მას ოთახს პირველ ნახულსა,
 ათასი კული მოაბეს
 სიმართლეს გადაკარგულსა.
 დიდი, პატარა, თფილისში
 მასზე აბრუნებს ენასა

და ცდილობს ბუზანკალისა
 აქლემთა გამოჩენასა.
 მე ეს მაკვირვებს: რალა დღეს
 წამოიგრძელეს ენები?
 განა ძვირია ქალაქში
 ამის მაგვარი სცენები???

ეჭმაქი.

ქარხანაში.

I-

მზე დიდებული, მზე შუქ-მფენი ჩასვენებულა.
 მთა-მიდორ-ველზე გადაშლილა შავი წყვილიადი...
 თოვლ-ყინულისა ვარაყებით დამშვენებული
 ღრუბელთ იალქნებს შეუმოსავს მთა გულ-ზევიადი.
 ულრანი ტყე და ქალაქები ჭილის მისცემიან,
 ხეთ აჩრდილები დალალებათ გაშლილან ველზე,
 ვარდს, ტუჩ გაბობილს, კუკურშივე ჩასძინებია,
 ცელქ ნიავს თვალი მიუღულლავს ზღვის სარეცელზე.
 სდუმს ყოველივე, მხოლოთ მარტო შავ-ფრთოსან
 რაშით


შავ-ცელ გაწვდილი ბელზებელი დაძრწის ეული
 და „სულითა თანას“ უგალობებს არე მიდამოს
 ბოროტ სურვილით, მგესლავ შაშით, გულ-ამღვრეული.

II

იქ, ქარხანაში, მანქანების დუანდგარ-გრგვინცასა
 შრომის შეიღები უფრთებენ ბრძოლის სიმღერას;

ლამე ფრთა შავი ცხოვრებისა ბნელი მოთხრობით,
 მათ ვერ აშინებს, ვერ უბორკავს გულისა ძგერას.
 გრგვინავს ქარხანა, მაშვრალეების კერა-სავანე,
 უქარის დრტვინვით, ბრძოლის ხმებით აზვირთებული
 მე ხარბათ ვისმენ, ნაცნობია ჩემთვის ის ხმები,
 წინათ გრძნობისა ნეტარებით მიღელავს გული.

დ. თორდოსპირელი.



მოხსენება ჭუთაისიდან.

ვკანდიერდები მოვასხენო პატივცემულ ტარ-ტაროხს ეშმაკეთისას, რომ ჩემდამო რწმუნებულ ქალაქ ქუთაისში ყველაფერი წეს-რიგზე არ არის.

უთავო თვითმმართველობა დღე-დღეზე შავ ქირს მო-ვლოდა და „თეთრი ქირი“ კი დაატყდა ჯოჯოხეთის რისხვათ. კოტე ბაქრაძემ დებეშა მიიღო ბათუმელ გიორგი ჟურჟულისაგან:*) „მოვიდა ანდრონიკოვი პეტერბურგიდან და ჩამოიტანა შავი ქირი. იმედია ეგ სტუმარი თქვენც მალე გინახულვს.“

შავ ქირს, როგორც გიორგი ზდანოვიჩი აცნობებს პეტერბურგიდან იასონ ბაქრაძეს და კიტა აბაშიძეს, განზრახვა ჰქონია რუსეთიდან პირდაპირ ფოთს ჩამოსულიყო, მაგრამ ნიკო ნიკოლაძეს იმდენი მოუხერხებია, (გავლენა მარტო მინისტრებთან და გუჩკოვთან კი არა აქვს), რომ ფოთისათვის აუცილებელია და ბათუმის „გალავა“ ანდრონიკოვის სათვის აუკიდია ზურგზე: „რადგან საფუთო გადასახადზე გულნაკლულათ დარჩი, აი ეს სიკეთე ინებე, მთელად შენთვის დამილოცნიაო.“

შავი ქირის მოლოდინე ქუთაისის ექიმები დიდ ფაცა-ფუცაში არიან: თავგები და ვირთხები სრულიად გააწყალეს. დიმიტრი ბარკალაია (ქუთაისის ნაფიცი მაქანკალი) ამბობს: „შავ ქირს დახაყილი ვირთხა უხდებოა“. ვინ იცის იქნებ ესეც მართალია, როგორც სხვა მოსაზრებანი დიმიტრი ბარკალაისი.

— მამა სიმონი (მკვდელიც) რედაქტორი „ქუთაისის ხუცების უსაქმობისა“ ამბობს: სამღვდელოე ბას იხსნის ჯვარი ქრისტესი შავი ქირისაგანო; ვაქარი ოცხელი ბრძანებს: სიმსუქნე თანადობილი ტანსა ჩვენსა, არ მიგვაკარებს ვაქრებს „შავ ქირსო“; კირილ ბეჟანიჩი დალადებს: „ვერ გაუძლებს შავი ქირი ქუთათურ ქორებს და მალე გაეცლებოა.“ ეს მოსაზრება მეც ჰქუაში მომდის, და თუ მოსალოდნელი სტუმარი ოდნავაც არის პატიოსანია, ჩქარა დასტოვებს ამ ქალაქს.

საკვიროთ ვრაცხ დავსძინო ყოველივე ზემოხსენებულს, რომ გიმნაზიის დირექტორი გლუშაკოვი ვერ ისვენებს, ნორმალური ძილი დაეკარგა. მას შემდეგ, რაც მამა ერმოლოზ კანდელაკის აზრით, შეჩვენებული სოციალდემოკრატი „მურომცევი“, და

*) რა სწრაფათ იცვლება ცხოვრება! კაცი ბათუმელი იყო და უცე იმდენი წარმატება მიიღო, რომ თფილისელი გახდა! ძედი მომეცო და სანეხზეუ გადამაგდო“ ამბობს ქართული ანდაზა.

ანარხისტი „ტოლსტოი“ გადაიცვალენ, გიმნაზიის დირექტორს ერთი მოსვენებით არ დაუძინია. იმათი აზრილები მარად თავს ადგას და აწუხებს, მოსვენებას უკარგავს. წარმოიდგინე სიზმარშიაც კი ეჩვენება, ელანდება, თითქო მათი მოსწავლეები „საკუნო ხსენებასა“ გალობენ და ფეხზე ადგომით პატივსა სცემენ იმათ ხსოვნას. გლუშაკოვი ყვირის სიზმარში გულ-შესაზარათ: „карцеръ, уволимъ всѣхъ“ გამოიღვიძებს და არაფერი, მის გვერდით ზის მამა ერმოლოზ კანდელაკი და აიაზმის წყალს ასხურებს.

ხონელი ეშმაკი.



ნ ა წ ყ ვ ე თ ე ბ ი.

მშობელო კერავ, შენი კენესა მე, თვალწინ მიდგეხარ ოდნავ მბუჟტავი... დარაჯათ გიდვას შავი კედლები... ვეშაპებრ გიტქერს ბნელი, გულშავი...

იქ დედა გოდებს, აქ მამა კენესის... მარქვით ეს გმინვა თუ ვისმეს ესმის?

აქ სიხარული კოკორში ჩაკლეს, აკვანი ექცა შევებას სამარეთ, ახლათ ფრთა შლილი იმედი ჩაქცა, ამოიგმინა მშობელმა მწარეთ.

აქ სატრფოს ღიმი ბაგეს დააკვდა, უმანკო გრძნობა ტყვიამ განგმირა და ქნარს მოღვრილს შევების სახნევით სიმზე დაატყდა გრძნეული წკირა...

მშობელო კერავ, კენესამე შენი, ნეტავ თუ იცი ის მესაფლავე, გულს რომ ცხედარი უხვად გისვენა, სევდაც მოგიძღვნა უშრეტი, მწვავე?..

იქ დედა გოდებს, აქ მამა კენესის... მარქვით ეს გმინვა თუ ვისმეს ესმის?..

გ. მალაქიაშვილი.



ფსევდონიმის მადიებელი.

„თქვენმა თვის შველამ,
წამიკითხეთ ყველამ...“

(სიტყვი ი ერთი ქუთათური მგონისა)

ნიკოლოზ დაუსტვინაძე დიდი ხანია რაც დაიქრებულა ზის. მოწვენილი დასწერება იგი თავას უკანასკნელ ნაწარმოებს. დარდი, სევდა, გაქმანი, უიმედობა ყველაფერში შიგ ჩაქსოვა, ყველაფერი შიგ ჩადო. წამკაოსველა ცრემლებს ვერ შეემაგრეს, ტირილით გასკვება. დას, ასეთი სიძლიერე დაუსტვინაძის ნაწარმოებისა. აზრთა სიღრმევე, სურათთა სინოველე ტრაგიზმი, დრამატიზმი, რომანტიზმი, ყველაფერი იმის თავდება, რომ ბატონი დაუსტვინაძე უთუოდ დიდი მწერლის სახელს მიაზოვებს.

მარ, სავალალო და სუბედურო ის იყო, რომ შესაფერი ფსევდონიმი ვერ გამოეხსნა თავის ნაკლმეკისათვის. ჯერ ფიქრობდა ზარდაზირ დაუსტვინაძე მოეწონა, მარა აწონ-დაწონის შემდეგ დარწმუნდა, რომ ეს ვერ იყო რაღაც სერიოზული გვარი: „დამცანებენ სულელათ ჩამოვლიანო“ იფიქრა და დასწევს-შეჩვენა ამ გვარის მომგონი.

— სწორეთ სულელი წინაზარი შეოლია! დაუსტვინაძე... სიდან გამოქექეს ეს გვარი? ვინც კი ტაიგონებს, უფელს ეცინება, კაცობის დროს ეოკელთვის ჩუმთ ვაძობ... დასწევლთს დმურთმა! ახლა აკერ მწერლობას ვიწებ და როგორ შეიძლება, რომ ასეთი სასცალო გვარი მოვაწერო! ისიც შეეოფა, რომ ცხოვრებაში ყველას ვაგინებ და ესლა კიდეც მწერლობაში ატესო სიცილი?... უნდა გამოვცვალო გვარი, შეტოგზა არ არის. ახ, რა უბედური ვარ, რა უბედური! ზირდაზირ გვარის მოწერა რა შემიძლოს, ქვეყნა უკვბ კაიკება, რომ ეს ჩემი დაწერალია... ახლა კი, სანამ ფსევდონიმს კამარკვევლენ, სანამ ყველა კაიკებას, როდის იქნება... როდის... რასაკვირველია, სადაც შეხვდება ჩემს ფსევდონიმს შე თვითონ ვატყვი. მარა მანამდე?..

ერთის სიტყვით, რაკი ნამდვილი გვარი არ გამოდგა იძულებული იყო ფსევდონიმი მოეძებნა და კიდევ შეეღვა. საჭირო იყო რამე ადვილი გამოსცნობი მოენახა, მასთან მჭიდროთ შეგავსარებული. ამიტომაც იყო, რომ ზირველ ეოვლისა თავისი სოფელი, სოფლის ახლო ჩამომდინარე წყალი და სხვა ამგვარები მოაგონდა. დაუსტვინაძის სოფელს „სულე“ ერქვა და თუ ამ სახელადან წარმოადგენდა თავისს ფსევდონიმს, უნდა მოეწერა არც თუ მაღვენო სასამონო სიტყვა... სულელი!

— დასწევლთს ემზაკმა!.. ეს რა. ფსევდონიმი?

„სულელი!.. ქვეყნა მასრათ ამიგდებს. ნეტავ ვინ სულელმა დარქვა ასეთი სახელი ამ ჩვენს სოფელს?! ისევე მდინარე..“

სოფ სულეს ახლო ჩამოედოდა მდინარე ნიასურა.
— ნიასურისპირელი!.. წამოიძახა და სახე გაუბრწინდა, მარა ხან მოკლე იყო ეს სინარული.

— ნიასურისპირელი! ფუჭ! როგორ მოგწონთ?... ნიასურისპირელი... ნიასური კი არა ბოლოკა არ გინდა? სასცალო... შიგვირს დმურთანი, ეგრე და რა სახელები ფოუკინიათ!.. შეჩვენს დმურთმა მკათა თავი... ვირეკა, დათკები... რათ არ იცოდენ, რომ ყველა მასსავით უკუნური არ დაიბადებოდა ამ სოფელმა?

გაბრაზდა დაუსტვინაძე, ბოღმას ვერ ამკვრებს. ბოღმასა სცემს.

რაკი ადგილის მიხედვით ფსევდონიმი ვერ მოიგონა, ისევე მამს მიმართა, მსგავსად მალაქაშვილისა. მარა დასე უბედობას... მამ მისს ესტატე ერქვა...

— ესტატეშვილი...? ივარკებს? ესტატე-შვილი... მწუ!.. არა! ვიღაც ოხური ესტაკეშვილს დამარქმევს...

ახლა დედაზე ფიქრობს. აქც უბედობა! დედა მისს დუღუნათი ერქვა... და რასაკვირველია, დუღუნათიშვილი არ შეწონებოდა დაუსტვინაძეს.

რაკი არაფერი გაუვიდა, ისევე გასეთებს მიმართა: იქნებ, ან აქ ვახლო რამე კარგი ფსევდონიმი და ან მომცონდესო. ხელად კადმიოდ ცხრას ხუთი წლის შურნალ-კახეთები და შეუღვა ფურცლას. კითხულობს ფსევდონიებს:

— ზროლეტარი... ზრნაგანდაძე, რაბოხაძე, რისხეაძე, მესაძე, რეოლაუფიძე, ქარტუხილაძე, ორატორაშვილი, ბომბაძე, უუმბარიახი, მაგარიძე *) რისხე-რეოლიტიანიშვილი... დმურთო ჩემო, ეს რა ფსევდონიმებიან, რა ამბავია!.. ხა... ხა... ხა...

დაუსტვინაძეს ერთიც არ მოეწონა, ვერ იცნო დრთს შესაფერათ და ისევე შეუღვა ფურცლას. ახლა გადაშალა ცხრას ექსი წლას ნომრები. კითხულობს:

— შეფქრებელი, რბილაძე, იმედ-შერეული, უგან დასეული, დეჰნილი, გაუბედურებული, ტანჯული, დავიწეებული, მზე დასმული, ცახიშვილი, ბორკილაძე, ხერეაძე, გადასახლებული, კადსკეილი, ციბირელი, საკატორდო, დასახრნობი, დასახერტი...

ხვდება სულ ამის მკვარა ფსევდონიმები... არც ერთი არ მოსწონს დაუსტვინაძეს და ვერც მოიგონა რამ უკეთესი დროს შესაფერი.

*) ზოგჯერ „მაგარიძის“ სახაცვლოდ „კრებკობისა“ ხმარობენ...

— არა, მიკვირს ღმერთმანი! რა უბედურ საოოზე დავიწყე მწერლობა! ფსევდონიმი როგორ ვერ ვაშოვო კაცმა! კარგი ფსევდონიმი, კარგი მწერალს რომ შეეფერება ისეთი, კეთილშობიანი, ბევრად მდიდარი, რაღაც სიამაყის, გონიერების, საზრიანობის გამომხატველი, თან სეველა წაბნეული, კაქსან გადაფარებული, დარღში შკვა-სმული... ღმერთო ჩემო! გამიგონა, ქართული ენა მდიდარი და ესა მისი სიმდიდრე: კაცმა ფსევდონიმი ვერ უნდა იშოვოს? ფუჟ... აი მაგალითად რა ამხარტავ-ნულად და დადებით ისმის: ჭაგ-ჭა-ვაძე... ორ-ბე-და-ნი... ურს-თაგული... ჩემი გვარი კი... ნეტავი არ მაგონა...

დაუშვინძე დონე მიხდილი ჩაჯდა. კულდასკრილი დაჭკურებს თავის კაქმურ ნაკაღმევს, ღამის არის „ორი ობოლი“ ცრემლი ჩაშოვარდეს. თაქრობს ისევ ფსევდონიმიცე**).

ეშმაკუნა.



„სიაში არა სწერია!“

(დასასრული)

გამოსვლა II.

ბრაქიაშვილი. (მდივანს) რა ამბავია?

მდივანი. (გადასცემს წიგნებს და აფიშის პროგრამას) ვილაცა სცენის მოყვარე ვახლავთ. ნებართვას თხოულობს, მაგრამ სიაში არა სწერია ამ ქართული პიესის სათაური.

ბრაქიაშვილი. (კითხულობს ხმა მალა) Русско-грузинский вечерь. (შებნდავს მდივანს) и грузинский даже?!

მდივანი. (ღიმილით) დიახ, დიახ!

ბრაქიაშვილი. (განაგრძობს კითხვას) 1-го Октября 19...г. устраивается русско-грузинский вечерь. На русском языке представлено будет „Путаники“ водевилъ въ 1-мъ дѣйствии, а на грузинскомъ — „Чкуиса мчирсѣ“, комедія въ 1-мъ

дѣйствии Г. Цагарели. (შებნდავს მდივანს) „Чкуиса мчирсѣ“? (რაღაცა უნდა უთხრას) Въдѣ это...

მდივანი. აი, სწორეთ ვე სათაური არა სწერია სიაში.

ბრაქიაშვილი. არა სწერია? მაშ რაღაზე ლაპარაკობთ? აქ ნებართვაზე ლაპარაკი მეტია. (ხმა მალა) ვინ მოიტანა აქ ეს ნებადართველი პიესა? დამიძახეთ ერთი აქ იმ ჩვენს „მსახიობს“!.. (მდივანი გადის დასაძახებლათ).

ბრაქიაშვილი. (მარტო შერცხვენილი კაცი ვიყო, თუ გუბერნატორის ისე მეშინოდეს, როგორც ამ ჩემი მდივანისა. ის კი არ ასრულებს ჩემს ბრძანებას, როგორც უფროსისას, არამედ მე ვასრულებ მის ბრძანებას. მართალია პიესას ვერ ვიცნობ, მაგრამ ცავარელი კი გამიგონია. ვაბუნია ცავარელი კიდევაც მიხახავს. მისი სახელი არც ისეთი სახიფათო უნდა იყვეს ჩემი კარიერისათვის, მაგრამ... მაგრამ მე ხომ ქართველი ვარ, და აბა ქართველმა ქართულ პიესაზე, რომ ნება დავრთო ვე რას ვმზავსება?!.. მაშინვე ხომ იქვს შემოიტანს ჩემზე ვე წყელი მდივანი? არა, ეს ყოვლად შეუძლებელია!. ჯანაბას მათი თავი და მათი წარმოდგენა! რუსულ-ქართული საღამო მომიკითხეს ეხლა იმ ლაწირაკებმა!.. ვერ დაეტევინათ თავიანთ ქერქში! ვითომ და თავიანთი ინტერნაციონალისტობა უნდათ დავგიმტკიცონ...

(შეშოდის მდივანი. მას უკან მოსდევს აკაკი შავაძე).

ბრაქიაშვილი. (სცენის მოყვარეს) შენ, ეი, ძმობილო! საიდან გამოქექე ეს ნებადართველი პიესა? ამით ხომ შეიძლება თითონაც ხათაბალაში გაება და ჩვენც ერთი ამბავი ავკიტებო? მიკვირს ასეთი გაუფრთხილებლობა, მიკვირს!

სცენის მოყვ. რასა ბრძანებთ, ბატონო! ნებადართველი კი არა, პიესა ხმარებიდან გამოვიდა უკვე.

ბრაქიაშვილი. ნურც მასე ხამი გგონივართ ქართულ მწერლობასთან. სიაში რაკი არა სწერია, მაშ ცხადია ნებადართველი უნდა იყოს. მე თქვენ გაფრთხილებთ, როგორც გულშემატკივარი ქართული სცენისა.

სცენის მოყვ. ბატონო! ბევრი არის ისეთი პიესები, რომლებიც თქვენს სიაში არ შეუტანიათ, მაგრამ სცენაზე მაინც თამაშობენ.

ბრაქიაშვილი. თუ გიყვარდეთ ნუ გვასწავლით! (იქით რა კმაცოვილებით მიყურებს ჩემი მდივანი; ალბათ უნდა გაიგოს ჩემი ლაპარაკი. (სცენის მოყვარეს) რა კი სიაში არა სწერია, მორჩა და გითხე-

**) მართლაც დღეს საგონებელში ჩავგავდნო, ამ სავალალო ამბავმა! ნუ თუ ჩვენი ახალგაზდა მწერლები ასე იტანჯებიან? ბედნიერია, მაგალითად, ქუთათური ახალგაზრდა რომანისტი ლ. წერეთელი, რომელსაც შემთხვევით აკაკის გვარი აღმოაჩნდა და ფევდონიმის ძებნა აღარ დასჭირდა. სხვები კი? სხვები თურე მართლა იტანჯებიან! რომ ოდნავ მაინც შევამსუბუქო მათი შავ-ბედი, ვაცხადებ საყოველთაოდ: საუკეთესო საშვალება ფსევდონიმის ამოსარჩევად არის საბა სულხან ობელიანის ლექსიკონი. იქ ყოველგვარი მკვლევარები, მნათობები და ცხოველებია მოხსენებული. ნუთუ ვერა ჩვენც არ გამოვძებნავთ მარტობელისაფიქს?

და, ნებას ვერ მოგცემ! (ხელახლა კითხულობს) „**Чкуниса мчиреь**“... (ცოტა ხანს ფიქრობს) რუსულად როგორ იქნება „ჭკუნისა მჭირს“?

სცენის მოყვ. რა მოგახსენოთ, თქვენო კეთილშობილებავ, პირდაპირ გადათარგმნა არ შემიძლია. რაღაც ისეთნაირი უნდა იყოს, როგორც მაგალითად „გორე ოტ უმა“ არის.

ბრაქიაშვილი. „Горе отъ ума“? Ничего подонного! „გორე ოტ უმა“ იმას ნიშნავს, რომ შეტის-შეტი ჭკუით სწუხს, იტანჯება ადამიანი... აქ კი სულ სხვა გამოდის. (ფიქრობს და თან კითხულობს) „**Чкуниса мчиреь**“... „ჭკუნისა მჭირს“... ესე იგი ჭკუა მაკლია... ჭკუა მჭირია...

სცენის მოყვ. დიახ, დიახ, მეც მაგის თქმა მინდოდა. (იქით) მართალს ამბობს, სწორეთ, რომ ჭკუა აკლია მაგას, და ჭკუა სჭირია.

ბრაქიაშვილი. ხომ ეგრეა? ჭკუა მაკლია... ჭკუა მჭირია...

სცენის მოყვ. სრული ქეშმარიტებაა თქვენო კეთილშობილებავ, და მე მგონია ეს გარემოება თქვენ ხელს არ შეგიშლისთ ნებართვის მოცემამზე. პირიქით... (ჩუმათ იცინის) ბრაქიაშვილი თვალს შეასწრებს, გაკვირვებული მიიხედ-მოიხედავს და ეკითხება)

ბრაქიაშვილი. რაშია საქმე?

სცენის მოყვ. არაფერი თქვენო კეთილშობილებავ, მეცინება, რომ ამხანაგებმა განგებ გამოგზავნეს — „შენ უფრო ხათრს დაგდებენო“.

(ამ ღაზაჯის დრფს მდ ვასი ზადის)

ბრაქიაშვილი. (მიიხედ-მოიხედავს და რა კი მდივანს ვეღარ დაინახავს, ჩვეულებრივის გულახდილობით ეუბნება) სახათრო რა არის აქ, ჩემო ძმაო, თუ კი შეიძლებოდა? მდივანი ამბობს სიაში არა სწერიან და აბა რა ვუყო?

სცენის მოყვ. ბატონო, სულ უბრალო კომედია არის, თქვენ თვითონ მოგ...

ბრაქიაშვილი. (გააწყვეტინებს კაცო, არ შეიძლებაო რომ გეუბნებიან, მაშასადამე არ შეიძლება!.. პიესა ნებადაურთველი არის!.. (მიიხედ-მოიხედავს და დაბალი ხმით ეტყვის) ესეც არ იყვეს, ხომ იცით რა თვალით გვიყურებენ ქართველებს?!.. ისევ ხმის ჩაქმენდა და გაჩუმება სჯობია... რა გვეთიატრება? ესეც არ იყოს, მე არ მომწონს, я не терплю, когда, როცა ქართულსა და რუსულს დომხალივით смешиваютъ. Признаться მე ეს არ მომწონს, другое дело მართო ქართული რომ ყოფილიყო, а то развращаете публику.

სცენის მოყვ. მაშ არ შეიძლება, თქვენო კეთილშობილებავ?

ბრაქიაშვილი. არა, არა ძმაო, წაიღეთ ეს თქვენი წიგნები და პროგრამა!.. Другое дело სიაში რომ ეწეროს!

სცენის მოყვ. (უსიტყვოთ ჩამოართმევს ქაღალდებს, გამოვა მდივნის ოთახში და გასავალ კარებთან სიცილი შესკდება) ჰა!.. ბედნიერია, ბედნიერი ის სამშობლო, რომელსაც ასეთი „პატრიოტი“ ჰყავს!...

(გაოცებული მდივანი ზირდაზირ ზყარბთან შედის).

მდივანი. თქვენო კეთილშობილებავ, ნება დაართეთ?

ბრაქიაშვილი. (შემკრთალი) ვინ? რა?.. რის ნება, რას ამბობთ, განა შეიძლება აკრძალულ პიესაზე ნება დავართო?

მდივანი. საკვირველია, მაშ რას იცინოდა ისე გულიანათ? (გამობრუნდება).

ბრაქიაშვილი. А чертъ его знаетъ!.. мало ли на свѣтѣ съ умасшедшихъ!.. (მარტო) მართლაც რა აცინებდა იმ მაწანწალას? აქაც შეგამჩნიე, რომ იცინოდა... ალბათ მიცნობს ვინცა ვარ... მაშ რა აცინებდა ოჯახ დაქველს! (ფიქრობს) Ахъ чертъ его вазъми! უნდა ყველაფერი გავიხსენო, რაც აქ ითქვა. (თავზე ხელს შემოიდგამს და დაფიქრდება). პირველათ მე უთხარი: „როგორ გაბედე აქ ნებადაურთველი პიესის მოტანა-შეთქი“. რა პასუხი მომცა იმ მაწანწალამ. ჰო, — ეს ძველი პიესა არის, ათი ათასჯერ უთამაშნიათო“. კეთილი და პატიოსანი, მერე რა არის აქ გასაცინარი? ჩემის აზრით არაფერი! შემდეგ? ჰო, მე ვკითხე როგორ იქნება რუსულად ჭკუნისა მჭირს-შეთქი. მან რა მიპასუხა? ჰო, „გორე ოტ უმა“ მოიხსენია. მერე... მერე მე რა უთხარი? (ფიქრობს) да! მე აუხსენი: „ჭკუნისა მჭირს“ ნიშნავს, — ჭკუა მაკლია და ჭკუა მჭირია-შეთქი. такъ, такъ!.. იმან რა პასუხი მომცა? (თავს მალლა ასწევს, ჭერში მიაშტერდება და ფიქრობს. ფიქრის დროს წარბებს თანდათან მოხრის, ბოლოს ერთბაშით მოპირქემდება, თვალებს დააბრიალებს და საწერ მაგიდაზე გაბრაზებული მუშტს დაჰკრავს) Ахъ ты маиенникъ, прохвостъ!! (გარბის მდივნის ოთახისაკენ) მოაბრუნეთ, არ გაუშვათ ის არამზადა, არ გაუშვათ!!!

(მდივანი სმაურობაზე წამოვარდება)

მდივანი. რა მოგივიდათ, თქვენო კეთილშობილებავ?!

ბრაქიაშვილი. (შეკრთება) **Ах, Вы ждете?..** მე ის... ის... კიდევ აქ მეგონა...

მდივანი. ვინ... ის... თქვენო კეთილშობილებავ?... **успокойтесь!..**

ბრაქიაშვილი. (დაბნეული) ის... ის... ქართველი მსახიობი... **Ах, простите ради Бога!.. я такъ...** (შებზრუნდება თავის კაბინეტში და კარებს მოხურავს)

მდივანი. ეს ჩვენი მმართველი მეგონაა ჭკუაზე შეიშლება ქართველების სიყვარულით.

ბრაქიაშვილი. (თმებში ხელებს იტაცებს და მწუხარებით ამბობს:) როგორ მომჭრა თავი!.. როგორ შემარცხვინა!.. როგორ დამლუბა!.. მდივანმა ხომ ყველაფერი დაინახა, რაც მომივიდა!.. ის ხომ სხვანაირათ გაიგებს ამ ამბავს!.. ოჰ, თქვენ წყეულო ინტერნაციონალისტებო, სამშობლოს მოღალატენო!.. შეჩვენებული იყავით, შეჩვენებული!!!

ანათემა.



შეკითხვა ეშმაკისადმი.

ძმაო ეშმაკო! როგორც ვიცით, ჩვენს ცოდვილ ქიათურაში, მრავალი სამათრახო გვამები სტკეპნიან ქუჩებს. მიუხედავად ამისა თქვენი მათრახი ყველაზე უფრო აქ ძვირობს. აგვადლო ყველამ ხელი, ჩვენს ამბავს აღარავინ კითხულობს. (ადგილობრივი პოლიცია კი მოგვაკითხავს ხოლმე ხანდის ხან, მაგრამ... ისიც ლომიძის მკვლელობის გამო) აღარც ეშმაკი თავის მოციქულებით და არცა ქრისტიანები შედარებით საკმაო ყურადღებას აღარ გვაქცევენ. ყოველივე ამის გამო ჩვენ იძულებულნი გავხდით ეშმაკთა საბჭოში შემდეგი შინაარსის შეკითხვა შემოვიტანოთ:

1) მოეხსენება თუ არა მის უეშმაკეულესობას, რომ სახ. უნივერსიტეტის დარბაზმა სიზარმაცეს მიყო ხელი, რის გამოც სიარული შესწყვიტა მისი (სახ. უნივ.) გამგეობის წევრებთან სახლებში და მიბ. ხალხი მოკლებული გახდა ლექციების და სახალხო კითხვების სმენას?

2) მოეხსენება თუ არა აგრეთვე ისიც, რომ ქიათურამ კატეგორიული უარი განაცხადა ქუთაისში ლექტორებთან წასვლაზე, რომ იქ (მათ კაბინეტში) მაინც მოესმინათ ლექციები, რა კი აქ ასე უძნელდებათ ჩამოსვლა... და თუ მოეხსენება—ყოველივე ეს—რა ზომების მიღებას აპირობს ამ ურჩების წინაღმდეგ?

მანს—ძე.



გ ა მ ო ც ა ნ ა

კვალად შევთხზე გამოცანა,
კვალად ძნელი, გასაკვირი:

ერთი ჯურის ცხოველი გვყავს
არც ჯორია, არცა ვირი.

(ვირიც არის, ჯორიც არის
ჭკუა თუ აქვს დანაძვირი)
თქვენ კრებაზე გენახვებათ
„რეჩის“ მკვანეთ დამაყვირი,
(საცა კრება გაიმართოს
მულამ არის ჩანაჩხირი)

„ჭუიან კაცს“ ეძახიან,
თუმც კაცად არ იხმარების,
ყველას აქებს, ავსა და კარგს,
არე ქების ეკმარების,
ღვინოში რო თავით ჩარგოთ
წამს განიცდის ნეტარების,
თავისს სახელს მთელად აწერს,
ფსევდონიმს არ ეფარების
კალამს იმზომ აცოდვილებს
როგორც ექვირ-ეკმარების.

ტანს სერთუკით შეიმოსავს
წვერს შეიკრეკს მაკრატელით.

ეტლში განზე წამოწევა,
 თავს ცილინდრის ქუდით
 ქუჩა-ქუჩა დანავარდობს
 ვერ დაღალათ შარით გრძელით.
 სირცხვილია, თუ ამისი
 გამოცნობა ვერ შესძელით.

კოლო.



† ალექსანდრა ჩაჩანიძე — გაფრთხილანსი.

(სახსოვრათ ნეკროლოგის მაგიერი)

23 იანვარს, ქალაქ ფოთში მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მასწავლებელი ქალი საშა ჩაჩანიძე. ვინც კარგათ იცნობდა განსვენებულს, ეს ამბავი უეჭველია დიდათ დაალონებს მას. ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, იმედებით აღსავსე ადამიანი იყო. მისი უტყუარი ნიჭი ჯერ კიდევ ფრთა გაუშლელი, გადუფურჩქნელი იყო და მომავალში ბევრს გვიქადდა.

ქუთაისის ეპარქიალური სასწავლებლის დასრულების შემდეგ (12 წლ. წინათ) ის დანიშნეს ფოთის სამრევლო სკოლის მასწავლებლათ და შემდეგ ის ფოთს არ მოშორებია. თავის ცოდნას, ნიჭს და ენერგიას ფოთის საჰირ-ბოროტო, საზოგადო საქმეს ანდომებდა. უიმისოთ არც ერთი საქველმოქმედო წარმოდგენა არ გაიმართებოდა. მისი მოხდენილი, გრძნობიარე თამაშის გამო ყველა სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა. მეტათ ეხერხებოდა დრამატიულ როლების ასრულება. მისი ნიჭის სამართლიანი ქება ბევრჯერ ყოფილა აღნიშნული გაზეთებში, ბევრჯერ ყოფილა გამოთქმული სურვილი, რომ საშა სამუდამოთ ქართველ მსახიობთა დასში ჩაწერილიყო. ბევრჯერ მიიღო წინადადება, მაგრამ განსვენებული იმდენათ მორცხვი ადამიანი იყო, რომ მუდმივ სცენაზე შესვლა

ემინოდა: „ძლიერ მიყვარს სცენა, მაგრამ მათ ცხოვრებას ვერ ვეგუებო“, იტყოდა ხოლმე.

განსვენებულმა, მისი ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი სიცოცხლე ჩაგრულთა გამოსარჩლება და მხაგვრელებთან ბრძოლას შეაღია. თავის ძალ-ღონის შესაფერათ ყოველთვის დაუზარებლათ ემსახურებოდა ჩაგრულთა ინტერესს, რის მიზეზით ამა ქვეყნის ძლიერთა რისხვას ხშირათ იმსახურებდა.

ამ უთანასწორო, უსამართლო ბრძოლაში ის დაიხარა, მოიქანცა, მაგრამ ქედი, მაინც არ მოუხრია ის ისევ ჩაგრულთა საყვარელი საშა დარჩა.

განსვენებულის გულმოდგინე მეცადინობით დაარსდა ფოთში დრამატიული საზოგადოება და სიკვდილამდე ამ საზოგადოების თავმჯდომარეთ იყო მიუხედავათ დიდი თვლისა და ჯოჯოხეთური ამინდისა, დასაფლავების დღეს 27 იანვარს მთელმა ფოთმა საყვარელი ცხედრის წინაშე თავი მოიყარა და მუშაკის ხსოვნას პატივის სცა. ბევრი გრძნობით საეცე სიტყვა წარმოითქვა და გვირგვინით შეამკვეს, გვირგვინი და სიტყვა უძღვნეს სომხებმაც.

მშვიდობით პატიოსანო მუშაკო, ქეშმარიტო მოქალაქეც და ძვირფასო ამხანაგო საშა!

ა.პ. წულაძე.

ფოტოგრაფია

მოსკოვი. დ. თქვენი პატარა მოთხრობა არ დაიბეჭდება, რადგანაც თქვენს ვინაობას არ აწერთ ზედ. ხოლო რო მოგეწერათ მაშინაც არ დაიბეჭდებოდა, ვინაიდან ჩვენი ჟურნალის მკითხველთათვის მიუწვდომელია.

გური. სოფიოშვიდს. თუ ჩვენს კეთილ რჩევას დაიჯერებთ, დაანებეთ თავი პოეტობას. ეს ისეთი ხელობაა, რომ კაცს ლუკმა პურს ვერ აქმევს. აი ნიმუში თქვენი ლექსებისა:

„როცა მე ვზივარ მარტო და მარტო *)
 გულს ბოღმა მე მომაწევა
 არვის ვხედავ რომ გავუზიარო
 და ის, ისევ კი იქ მიკვდება“.

*) მაშ ორნი ყოფილხართ.

2 1582
1911

თავის თავად ცხადია, ბოლშევიზმი არაფერია ჩაგვ-
ზიარებათ, მაგრამ თუ კი თითონვე „კვტება“ გულ-
ში, რაღას ნაღვლობთ? დაე მოკვდეს!

ქვემოთ განაგრძობთ:

„როცა ტყეში ვარ დილა ადრიან,

და იქ ვუყურებ არე-მარესა

მაშინ ჩემი გული სევდიანი

გრძნობს რაღაცა სიხარულსა.

და როცა ტყეს მოვშორდები

ისევ ის სევდა გულს დამაწვება

ოჰ! ნეტავ როდის იქნეს,

რომ გულს მოეცეს პატარა შვება“.

ამაზე ადვილი რაღაა! თუ კი ტყეში ყოფნის

დროს სევდა გიქარდებთ, დასახლდით ტყეში. განა
ტყეს ცოტა ბინადარი ყავს?

სოფ. ონოლა. მართას შვიდს. თქვენი წერი-
ლი არ დაიბეჭდება, რადგან კერძო ხასიათისაარის.

სადმი. ვ. გარეჯაძეს. არ დაიბეჭდება.

ზიათურა. ნ. ჯიხიაშვილს. არ დაიბეჭდება.

ნაპალაღვი. გურჯ-ოდღის. ვასრულებთ თქვენს
ურვილს და ვაცნობებთ, რომ თქვენი ლექსი ობო-

ლი“ ობლობისა და ნაძალადეობის გამო ვერ იბეჭ-
დება.

ზიათურა. კომ. კაშიაძეს. თქვენი წერილი არ
დაიბეჭდება, ხოლო რაც შეეხება სამკითხველოდან
საბუქოს მოსამსახურეთა მიერ გაზეთების დატაცებას,
ამას გამოვიკვლევთ. საჭიროა იქ დაიდგას ერთი
მახე.

ს. ჰიურღამირი. გ. შაწუქაძეს. თქვენი ლექ-
სი ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ
დაიბეჭდება.

კულაში. ენუღ-ძეს. თქვენ იწერებით:

„თოვლი მევიდა ზეციდან

მევიდა როგორც თეთრათა

ხუვილ-ხუვილით ჩამოდის,

თითქო გვაყრიდენ ერთათა“.

გასაკვირი აქ ის არის, რომ კულაში თურმე
ზეციდან მოდის თოვლი და ეს თოვლი თეთრი ყო-
ფილა.

ლევჩაპაღინი. ე - სი. წერილი არ დაიბეჭდე-
ბა. ს ყველური „სინათლის“ შესახებ გადავეც რე-
დაქტორს. მალე მოგივთ.

რედაქტორ გამომცემელი **ბაიოზ ჯაჭვამი.**

მიიღება ხელის მძაწერა ყოველ-გვირგულ იუმორისტულ ჟურნალ

„ეშმაკის მახე“

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველა ჩვენი ახალგაზრდა მწერალნი.

მთელი წლით ჟურნალი ღირს 5 მანეთი.

1 1/2 წლით — — — 2 მან. 50 კაპ.

3 თვით — — — 1 მან. 50 კაპ.

1 თვით — — — 50 კაპ.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

ჟურნალში მიიღება აგრეთვე განცხადებებიც:

მთელი გვერდი 10 მანეთი.

1/2 გვერდი 5 „ „

1/4 გვერდი 3 „ „

თვითურსა და წლიურ განცხადებას ფასი რედაქციასთან მორიგებით აკლდება.

ყოველგვარი წერილები, აგრეთვე ჟურნალის დასაკვეთი ფული, უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესზე:

Тифлисъ. Типографія Е. Кереселидзе для жур. „ЕШМАКИСЪ МАХЕ“.